საქართველოს ნაციონალური პარტია.

კვირა
მარტის 14.
(მარტის 1)
1920 წელი

№ 11

ფასი 4 მ ნ.

გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს
სოფლის მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა ინტერესებს

„კლდე"

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

გაზეთის ფასი წლის დამლევამდე 200 მან.

მისამართი რედაქციის: დამფუძ. კრებ. ქ № 5.
რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17.

ტელეფონი 22.


## შინაარსი


მ. იმხნელი აბხაზეთის არჩევნების „ბოიკოტისტები".
კ. კაპანელი ეროვნული პოლიტიკისთვის.
გ. იმნაიშვილი ევლესიის გარშემო (პ. მირიანაშვილის წერილის გამო).
ნელი. მსახიობი გიორგი იმხნელ-არადელი (მოგონებანი).

მომზადებების სამინისტრო[illegible].

უკანასკნელი ცნობები


---


ქვრივი ელენე ვახტანგის ასული ვაჩნაძისა, შვილები დავით, ნინო, თამარ და ქეთევან, რძალი თამარ დავითის ასული ვაჩნაძისა, სიძეები, ექ. პავლე კავილაძე, ალექსანდრე ნიჟარაძე და ირაკლი ზედგენიძე აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ძვირფას ქმრის და მამის

**ვლადიმერ დავითის ძე ვაჩნაძის**

გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი კვირას 14 მარტს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვის დასაწყისი 10 საათზე. პანაშვიდისა 12


---


## კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება
## „კახეთი"-ს გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ კვირას, 21 მარტს თელავში 9 საათზე დანიშნულია

## წევრთა საზოგადო კრება

განსახილველია:
1. წევრთა სიის გადასინჯვა.
2. განხილვა და დამტკიცება 1918—19 წლის ანგარიშისა.
3. განხილვა და დამტკიცება 1919—20 წლის ხარჯთაღრიცხვისა და მოქმედების გეგმისა.
4. გამგეობისა და საბჭოს მოხსენება.
5. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
6. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა და დამტკიცება.
7. ორი გამგეობის წევრის არჩევა ნაცვლად თავის ნებით გასულ სტ. მიხ. პაატაშვილისა და რიგით გასულ ლ. გ. სამადაშვილისა.
8. ორი საბჭოს წევრის არჩევა.
9. სამი სარევიზიო კომისიის წევრის არჩევა.
10. მიმდინარე საკითხები.

გამგეობა.


---


## გაფრთხილება
## ბორჯომის წყლის გაყიდვის შესახებ:

ბორჯომის წყალი ცერძო მოვაჭრეებს ეძლევათ ჩვენი საწყობებიდან თითო ბოთლი 10 მანეთად (ბურკლით)

ამავე დროს ბევრი მოვაჭრეთაგანი ყიდის ამ წყალს სპეკულიატიურ ფასებში; 20—30 მანეთამდე. (ისიც უბოთლოდ)

ვაფრთხილებ ყველას, რომ ვინც ამას იქით 50% მეტს მოუმატებს ჩვენთან დაწესებულ ფასს, მათ სრულებით აღარ მიეყიდებათ წყალი ჩვენი საწყობებიდან.

ბორჯომის წყლის კონტრაგენტი
მიწათმოქმედების სამინისტროსი
დავით ქებაძე


---


## „ქ ი მ ე რ ი ო ნ შ ი"

შაბათს, 13 მარტს,

## „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების"
## ს ა ღ ა მ ო

დასაწყისი 10 საათზე


---

## აბხაზეთის არჩევნების „ბოიკოტისტები".

სრული ორი კვირის შემდეგ, 27 მარტს, აბხაზეთის მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკის სრული წლოვანი ქვეშევრდომი, განურჩევლად სქესისა, მიმართულებისა და ტომისა, უნდა წარსდგეს საარჩევნო ყუთთან და შეგნებულად მისცეს თავის ხმა. სოხუმის ოლქის მოქალაქეებმა და სოფლელებმა ამ ხმების მიცემით მკაფიოდ უნდა გამოსთქვან, თუ მათი სიმპატიები რომელი პარტიისკენ არის. ვინ მიაჩნიათ სასურველ კანდიდატებათ რომ საქართველოსა და აფხაზეთის საერთო საქმეებს გაუძღვენ, სოციალისტები თუ არა სოციალისტები?

ჩვენ ვიცით, რომ აფხაზეთი უკმაყოფილოა ჩვენში გაბატონებულ მთავრობის პარტიითა მისი პოლიტიკით აფხაზეთში.

ჩვენ ისიც ვიცით რომ, საქართველოს მიერ გაუგებარ, პარტიას ესერებისას უნდა ამით ისარგებლოს და თავისი ბოლშევიკური დაპირებით ლამობს მოუმზადებელი მასა თავისკენ გადიბიროს, მაგრამ აფხაზეთისთვის, ჩვენის აზრით, ყველაზე საშიში აფხაზეთის ახალგაზდა „ინტელიგენცია" არის. ამ ინტელიგენციაში ურევიან მაროანიები და ცაგურიებიც.

ეს უკანასკნელი, 22 თებერვალს აფხაზეთის ინტელიგენციის ყრილობაზე, ასე ლაპარაკობდა:

„მდინარე რომ მდინარეს დაეტაკება ქაფს მოიგდებსო. კაცობრიობის ჟანდარმერია, იმპერიალისტური ანტანტა დაეტაკა ბოლშევიზმს და აი გამოჩნდა ქაფი-საქართველოო ეს ქაფი, ვითა საპნის ბუშტი გაქრება როგორც კი კაცობრიობა დამშვიდდებაო.

რას წარმოადგენს საქართველო? ორ გუბერნიას და აი გვეუბნებიან ჩვენი კულტურა შეითვისეთო, მერე სად არის მათი კულტურა? ეს მათი ენაო; მაგრამ რად გვინდა ქართული ენის შესწავლა, ნუ თუ იმიტომ რომ ორ გუბერნიაში ვიტრიალოთო და სხვა და სხვა".

ეს ცაგურია, რომელიც ასე ბოლშევიკობს, თუ არ ვცდებით, ქართველ ესერებთან მუშაობს, ოღონდ ვერ გაგვიგია ერთი რამ: აფხაზეთის ინტელიგენცია, დაწყებული მემარჯვენეებიდან და გათავებული მემარცხენეებით თუ აშკარათ არა, ჩუმათ მაინც ხალხს არჩევნებში ბოიკოტისკენ მოუწოდებენ და ნუ თუ ივ. ლორთქიფანიძის პარტიის ინტერესი ეს არის?

ჩვენ ზემოთ ვსთქვით, რომ აფხაზეთის ხალხისთვის ყველაზე საშიში ის „ინტელიგენციაა", რომელიც შემთხვევით შეიყარნენ 22 თებერვალს აფხაზეთის მთელი ინტელიგენციის სახელით დაიწყო ლაპარაკი. ჩვენ ამ ინტელიგენციას ფრჩხილებში ვსვამთ, ვინაიდან ჩვენ აფხაზეთის ინტელიგენციაზე უკეთესი აზრისა ვართ, ვიდრე იმ 22 თებერვლის ყრილობის აფხაზეთის ინტელიგენციაზე, რომლებიც ძალიან ნაკლებ ღირებულებას წარმოადგენდა და სადაც ერთი ხელის თითებზე დაითვლებოდა ნამდვილი ჭეშმარიტი ინტელიგენტების გვარები.

18 წლის ცაგურიას სურს „უწინამძღოლოს" აფხაზეთის ხალხს და მან უნდა ასწავლოს გზა უფხაზებს რუსეთისაკენ თუ საქართველოსკენ.

ჩვენ მოუწოდებთ ჩვენს ძმებს აფხაზებს ხუ აჰყვებიან ბავშვების ტიტინს და მიიღონ მხურვალე მონაწილეობა არჩევნებში. ვარწმუნებთ მათ, რომ რუსეთისკენ თუ ოსმალეთისკენ ცქერა მათ ხელს არ მისცემთ. საქართველოს ჭირი რუსეთის ლხინს ერჩივნოთ. რუსეთი თუ შეუბრალებლად სჩაგრავდა: პოლონეთს, უკრაინას, საქართველოს და სხვა მრავალ ერებს, რას უზამს პატარა აფხაზეთს, ეს ცაგურიამაც უნდა იცოდეს, მაგრამ ის ხომ სოციალისტია და რაც მალე მოხდება ასიმილიაცია, გათქვეფა რუსეთთან სხვა ერებისა, ეს ალბათ მათი მიმართულებისთვის ხელსაყრელია, ვინაიდან უფრო დიდი მასშტაბათ „განახორციელებენ" სოციალიზმს.

საქართველოს როგორც თითონ არ უნდა, რომ იყოს ვისგანმე დაჩაგრული ისე ის არ მოინდომებს სხვის დაჩაგვრას მით უმეტეს, რომ ეს დაჩაგვრა ბოლოს და ბოლოს მასვე მოუტანს ზიანს.

აფხაზეთის მასსა, რომელიც მზათაა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, თუ მათ არ უჩიჩხვირეს უპასუხიმსგებლო, უსუსურმა პოლიტიკოსებმა, გვჯერა რომ სოციალისტების გარდა გამონახავს ისეთს პარტიას, რომელიც დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის შემუშავების დროს აფხაზეთის ავტონომიურ უფლებებს დაუჭერს მხარს.

მ. იმხნელი.

## ეროვნული პოლიტიკისათვის

საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მას ესაჭიროება საკუთარი, ეროვნული პოლიტიკა როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმის გაკეთებაში. დღეს თვით სოც. დემოკრატების ოფიციოზი „ეროობა" ამაზე ლაპარაკობს და საშუალებას ეძებს სახელი და პარტიული მორალი შეინარჩუნოს საქმის გაკეთებასთან [illegible] ალბად, სოც.-დემოკრატობა და საქმის გაკეთება სხვა და სხვა [illegible]ფილა. სოც.-დემოკრატების იდეოლოგები ამას კარგად გრძნობდენ და მეთოდურად [illegible] მარქსის ინტერნაციონალი ლასალის სახელმწიფო სოციალიზმით შესცვალონ. ეს [illegible] ერთგვარი, სოციალისტური ლიბერალობა, რომელიც პრაქტიკულად სახელმწიფო [illegible] [illegible]ციონალიზაციი[illegible] [illegible]. ამ შემთხვევაში სახელმწიფოებრივ პოლიტიკა. მიზანი იქნება სახელმწიფოს თანდათანობითი სახე ცვლილება რადიკალური სოციალური რეფორმებით.

ჩვენის აზრით, ასეთ სახეს მიიღებს ბოლოს და ბოლოს სოც.-დემოკრატების ეროვნული პოლიტიკა, ხოლო ქართველი ნაციონალისტები მოვალენი არიან ამას ანგარიში გაუწიონ და თავის დროზე შეეცადონ თავიანთ მოვალეობის ასრულებას: ქართველი ნაციონალისტების უმოქმედობა ამ შემთხვევაშიავნებს არა მარტო საქართველოს და ქართველ ერს, არამედ თვით სოც.-დემოკრატიასაც, რომელიც იძულებულია ანგარიში გაუწიოს როგორც სახელმწიფოებრივი ბატონობის სურვილს, ისე პარტიულ ილიუზიებს, რომელთა წყალობით იგი ბატონობს.

სწორეთ იმიტომ, რაც უფრო მკაცრი იქნება ნაციონალური პოლიტიკის ოპოზიცია მით უფრო ნაციონალური იქნება ჩვენი სახელმწიფოებრივი მიმდინარეობა მით უფრო კულტურული და ევროპიული იქნება ჩვენი ეროვნული შემოქმედება. მეორე მხრით ეს თავისთავად სოციალ-დემოკრატებს გაუადვილებს მუშაობას, დააშორებს ილიუზიებს და შეაჩვევს საქმიანობას.

ალბათ, იმიტომაა, რომ სოც.-დემოკრატებს ბოლო დროს მეტად ეზიზღებით ის ჯგუფი ქართველ ნაციონალ-დემოკრატებისა, რომლის პარტიული და სახელმწიფოებრივი [illegible] კარგად გამოიხატება ძველი რუსეთის უნტერ-ოფიცრის ლექსიკონით: „ТАКЪ ТОЧНО". ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის ერთ-ერთ სხდომაზე, როდესაც ირჩეოდა საკითხი ვაჭრების გადასახადების შესახებ, სრულებით საკმარისი იყო ქალაქის თავის ერთი ბრძანება, რომ მაცლოთ სოც. დემოკრატებს ეროვნულ-დემოკრატების [illegible]. ზოგიერთი სოც.-დემოკრატი დღესაც ირონიულად ამბობს: ბურჟუები გავასოციალდემოკრატეთო.

რა თქმა უნდა, აქ ბურჟუების გასოციალდემოკრატებაზე არ არის საქმე: აქ არის ცხადყოფა ქუვარგისი ნაციონალური პოლიტიკისა და ეროვნული იდეოლოგიის სისუსტე.

ჩვენის აზრით, პარტია, რომელსაც არა აქვს გამორკვეული პრინციპიალური მდგომარეობა და იდეოლოგიური აზროვნება, ვერ აწარმოებს საკუთარ პოლიტიკას. რათქმა უნდა, დაცვა და ხელმძღვანელობა ბურჟუაზიისა საჭიროა, მაგრამ ჩვენი ქართული ბურჟუაზია ჯერ-ჯერობით მეტად სუსტი სოციალური ელემენტია; მართალია არსებობს სავაჭრო და სამრეწველო პალატა ჩვენში, მართალია არსდება ცენტრობანკი და სხვა და სხვა საფინანსო და საეკონომიო დაწესებულებანი, მაგრამ სოციალური ძალა ამ დაწესებულებათა იმდენათ სუსტია, რომ ჩვენი მთავრობა უცხო ფირმებთან კომერციულ „სდელკებს" აკეთებს და კომერსანტების როლს თამაშობს.

ბურჟუაზია ჩვენი მეტად „ნორჩია" და მას ესაჭიროება ერთგვარი სკოლა, რომ შეიგნოს თავის მოვალეობა, რომ შესძლოს სოციალური როლი ითამაშოს, საკუთარი პოლიტიკა აწარმოოს.

ქართველი ერის სასიცოცხლო ძარ-

დვი ჯერ-ჯერობით სხვაგან სცემს: დააკვირდით ჩვენს ქალაქებს და დაბებს, რით ცხოვრობენ ამ ქალაქებში და დაბებში, ვის უცდიან ჩვენი ევროპულ წოდებულთ ბურჟუები სიცივითა და შიმშილით ამიგძიგებულნი?

დღეს საქართველოს ახაზრდ—ებს სოფელი; მოწაფეები, მასწავლებლები, ვაჭრები, ინტელიგენტები ყველა სჯულის და სპეციალობისა ტომრებით ხელში სოფლიდან გლეხებს უცდიან, „დაფქვილს ეძიებენ."

რავა შიმშილით ამოწყდება ჩვენი ქალაქი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მას სოფელმა ბოიკოტი გამოუცხადოს. ჩვენში ქალაქები ხომ ევროპიულად არ არის მოწყობილი, ჩვენი ბურჟუაზია თავის საწყობებში რას აწყობს დღეს?—მხოლოდ სოფლის ნაწარმოებს, ჩვენი გალანტერეისტები დღეს პარიზისა და ბერლინის მაგიერ ბაღდადსა და ხონში მიჰქრიან შალისა და ხამლენების ჩამოსატანად.

ჩვენი სოფელია ჩვენი არსებობის მამოძრავებელი და ჩვენი ინდუსტრიის გამომსახველი: ჩვენი კულტურა თამბაქოსა, საქონლის მოშენებისა, მეღვინეობისა, ხილეულობისა—ყველაფერი, რაც ჩვენში განსახიერებულია, სოფლიდან არის და სოფლით საზრდოობს. საქართველოს მთები და მინდორ-ველები ჰქმნიან ქართველ ერის სიცოცხლის ძალას, ჩვენი დღევანდელი ეროვნული ინდუსტრია წმინდა სოფლურია: ჩვენს დედა ქალაქში, თფილისში ვერის ქუჩები შეშით, ნახშირით, მწვანეულობით და სხვა სანოვაგით დატვირთული ურმები რომ შემოდიან, შეიძლება ზოგიერთს მსუბუქ აზრების. პატრონ ქართველის თავმოყვარეობას მართლა აწუხებდეს, მაგრამ მაინც ეს ჩვენი „comgadnie industriele" მაუწყებელია იმისა, რომ პრიმიტიულია, სოციალურად უფრო ტიპიურია, უფრო საიმედოა და სასიცოცხლოა, ვიდრე ზოგიერთი ბანკის აქციები და კომივოიაჟორების პერსპექტივები.

მართალია დღეს მსოფლიო ომის შედეგებს ათასგვარად ხსნიან, განსაკუთრებით ჩვენში, მაგრამ მაინც უსაფუძვლო პარადოქსი არ იქნება ვსთქვათ, რომ საფრანგეთის სოფლის მეურნეობამ, კონკრეტულად კი ბოსტნეულობამ მიხურა ჯესენისა და კელნის (გერმანიაში) ქარხნების კარები.

თვით დიდი ბრიტანეთი ორგანიულად საზრდოობს ანგლონორმანის ქარხნებით, რომელთა მუშაობა ეხლა თითქმის მინერალურია, არამედ ავსტრალიისა, ინდოეთისა და კუნძულების სოფლებით, საიდანაც ინგლისის ხალხს და განსაკუთრებით ჯარებს მილიონობით მოსდის დაკონსერვებული ხორცეულობა, ხილი, ტყავი და სხვა საზრდო მასალები.

მეტად ეფემერულია და კატასტროფული ქალაქის კულტურა თვით ევროპაში.

ჩვენში კი ქალაქის კულტურა თითქმის არ არსებობს; ჩვენი ქალაქები ხომ ნამდვილი ფობურგებია, ის ფობურგები, რომლებიც ეხლა ამოძრავებენ ევროპის ქალაქებს, ორგანიულად დაშლილებს.

ჩვენში ბურჟუაზიის ქმნა, ორივე კომერსანტის და აქციონერის კომბინაციებზე სოციალური პერსპექტივების დამყარება, ჩვენის აზრით, სახიფათოა ისე როგორც ჩვენი დაბების გაქალაქება და საქართველოს სოფლებში პროლეტარების პროფესიონალური კავშირების შექმნა.

კაპიტალიზაციის პროცესი საქართველოში უკვე დაწყებულია, უკვე მოძრაობს, მაგრამ ფესვები ამ პროცესის სოფლებშია. მევენახეობა, მებაღეობა, მესაქონლეობა და სხვა აგრარული ინდუსტრია ისეთი მსხვილი სამეურნეო საგანია ჩვენში, რომ არა მარტო ქალაქის მცხოვრები-ვაჭარი, არამედ თვით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ყოველთვის იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს მათ მოძრაობას და თავის პოლიტიკა საქართველოს სოფლების ინტერესებს აუშენოს.

რაც უფრო დავიცავთ ჩვენ ჩვენს, საკუთარს, ქართულს, თუნდაც პრიმიტიულს, მით უფრო სადი და ცხოვრებასთან შეფარდებული იქნება ჩვენი საზოგადოებრივი შემოქმედების მეთოდი, მით უფრო რეალური იქნება ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა, მით უფრო ღრმა იქნება ჩვენი კულტურული მიმდინარეობა.

კ. კაპანელი.

# ეკლესიის გარშემო

### პეტრე მირიანაშვილის წერილის გამო.

ბ. პეტრე მირიანაშვილი თავის წერილში, აღნიშნავს რა დიდ მნიშვნელობას ქართულ ეკლესიისას ქართველი ერის ცხოვრებაში მე XV საუკუნემდე და შემდეგ მის დაუძლურებას მტერთა მეოხებით, დაბოლოს მიწასთან ასწორებს ეკლესიას და მის მსახურთა.

როგორც „სოციალისტი", პეტრე ტორტმანებს, ხან დაეძგერება კახეთის მეფის თეიმურაზ 1-ლს რუსეთის მეფისადმი ერთგულების ფიცის დადებისათვის და გააქვს ერთი განგაში; ხან ზებედე ალავერდელს დაეჯახება და კიცხავს დემოკრატ-სოციალისტობის გამოუჩენლობის გამო.

ჩვენი პეტრე ვერ გამძლარა ამ პირთა ძიძგნით ანტონ 1-ლს საქართველოს კათალიკოსსაც დასჯახებია და ბრალს სდებს: „ფილიოქვე გასცალა ბერძნულ მხრ. წამსხედა"-ო. ძალიან კრიტიკის მადა მოსვლია ჩვენ სოციალისტ მეცნიერს.

„მე-19 საუკუნის ღვთის მსახური საერთოდ უარყოფითი არსებაა"-ო, ჰკივის ბ პეტრე და ვერ გაუგია, რომ მე-19 საუკუნეში თუ რამე ეროვნული შერჩა ქართველ ერს, ისევ საქ. სამღვდელოების წყალობით. პეტრეს მიერ მოძულებული ანუ მოსპობილი სამღვდელოება გვერდში ჰყავდა ამომდგარი ქართველ ერს, ავრცელებდა მათში ქართულ ენას და სახარებას და ჭირსა და ლხინს მასთან იყოფდა. სამღვდელოებამ უბრალო სასულიერო სკოლიდან დაწყებული სემინარიამდე ქართულ ენას მოუპოვა სრული უფლება და გახადა სავალდებულო საგნად. ამ დროს სხვა უწყების სასწავლებლებში ყოველი ქართული დევნილი იყო, მაგრამ მოსარჩლე არ ჰყავდა. საქ. სამღვდელოება, მისი სასწავლებლები და შვილები მედგარნი მებრძოლნი იყვნენ თავისუფლებისათვის, რასაც ამტკიცებს აუარებელი აჯანყებანი რუსეთის რეჟიმის წინაამდეგ და მოთხოვნილებანი.

ვინ მოაშორა საქართველოს ჩუდეცკი, პავლე ლებედევი, დონდუკოვ-კარსაკოვი?

პეტრე მირიანაშვილმა თუ სამღვდელოებამ?

ქართველი სამღვდელოება დაუცხრომელი მებრძოლი იყო გამარუსებელ რეჟიმისა. ვის არ ახსოვს ქართველ სამღვდელოების გმირობა, რომელიც ყაზახთა მათრახებსაც კი არ შეუშინდა 1905 წელში, მედგრად დაიცვა თავის ეკლესიის ინტერესი მეფის მოადგილის ვორონცოვ-დაშკოვის წინაშე და მოითხოვა ხულიგან რექტორის გაძევება და კიდეც აასრულა.

პეტრე მირიანაშვილი კი ნაცარქექიობდა ამდროს, რასაც ცხადად ამტკიცებს შემდეგი უბედურება: ყაძახთა ბრბომ, როგორც, პატივცემულო მკითხველო, მოგეხსენებათ, მიიტანა იერიში ქართულ გიმნაზიაზე, მოჰკლა ინსპექტორი ჩიტაძე, დასჭრა მასწავლებლები, ააოხრა გიმნაზია, გაანადგურა წიგნთსაცავები და სხვა?.. პეტრე მირიანაშვილმა თავის ამხანაგებით გმირულად დააიხჭრა თავი ამ უბედურებას.

ჩვენმა მთავრობამ სამღვდელოება და ეკლესია მოიძულა, რაც რამე ჰქონდა, მოუსპო; დღეს სამღვდელოებას და ეკლესიას არც მამული აქვს, სახნავ-სათესი-სათიბი, როგორც წინად ჰქონდა, აღარც ჯამაგირი და მშიერ-ტიტველი ღვთის მსახურნი მაინც არ ღალატობენ არც ქართველ ერს და არც მთავრობას, მრევლს გვერდში ამოსდგომიან და ეწევიან ჭაპანს.

პეტრე და მისი მსგავსი სოციალისტები უფრო დაკმაყოფილებულნი ცხოვრებითაც და ჯამაგირითაც, ყოველ წუთში მზად არიან „საზაბასტოვკოდ".

ბ. პეტრე ზნეობრივ დაცემად უთვლის სამღვდელოებას ვილაცას მიერ ეკლესიის საკურთხად ეგზარხოსის მიწვევას.

თუ მართლა ზნეობრივ დაცემად ჩასათვლელია ასეთი საქციელი, მთელი შემადგენლობა ქართული გიმნაზიისა და მათ რიცხვში პირველად პეტრეც ზნეობრივად დაცემულად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც გიმნაზიის ეკლესიის საკურთხად იმათაც მიიწვიეს ეგზარხოსი ამ რამდენიმე წლის წინად.

თავისებურად გვიხსნის პეტრე, თუ როგორ საქართველოს დემოკრატიამ პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვებით მართლმადიდებელ ეკლესიასაც მოუპოვა თავისუფლება. მაგრამ უმეტესს ნაწილს თავისუფლებისათვის მებრძოლთ ხომ სამღვდელოების შვილები შეადგენდნენ და შეადგენენ დღესაც. სამღვდელოებას მონობის უღელი თითქმის წაძრობილი ჰქონდა კისრიდან, როდესაც სოციალისტ-დემოკრატი გაიძახოდა: „სიკვდილი და სიცოცხლე რუსეთის ხალხთანო" და საქართველოს „ავტონომიაზე" ლაპარაკსაც დიდ დანაშაულად სთვლიდა.

იმითაც გვაშინებს ბ. პეტრე, რომ დემოკრატი ეკლესიას მოშორდება და თავისს საქმეს თვითონ მოაწყობსო. კადნიერად მოვახსენებ ოცნებიან კრიტიკოსს, რომ ეკლესიაც მოიგებს, თუ ურწმუნო დემოკრატი მოშორდება მას ეს დემოკრატისათვისაც სასარგებლოა, რადგანაც თვითონაც ადრე დაინახავს სიტკბოებს და სიკეთეს ეკლესიას ბევრი რამ ამისთანა გამოუცდია და გამოუვლია და ძლევა-მოსილი დარჩენილა და დარჩება კიდეც.

პეტრეს და მის თანამოაზრე სოციალისტებს ვერ შეუგნიათ, რომ ჩვენი მხსნელი და მფარველი ერთად-ერთი ქრისტიანული ეკლესია იყო და არის დღესაც. ეკლესია რომ არ გვქონებოდა, აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთის პროვინცია იქნებოდა და დასავლეთი ოსმალოსი.

დღეს ჩვენ და სომხობა თუ ვარსებობთ, მხოლოდ ეკლესიის წყალობით.

თურმე პეტრეს თვალს სთხრის და გულს უღრღნის წ. ნინოს საზოგადოების დაარსება ამხედრებულა მის წინააღმდეგ და განგაშებს

„ხოლო ნინო წმინდის საზოგადოება რაგვართი არ უნდა დააარსონ „ეკლესიის საქმეს მით ვერაფერს უშველიანო".

მაგრამ, თუ არც ერთი საზოგადოება უნაყოფოდ არ დარჩენილა ჩვენში, იმედია, არც წ. ნინოს საზოგადოება დარჩება, მით უმეტეს, რომ მიზანი საზოგადოებისა დიდია: გავრცელება ქრისტიანულ სოფლმხედველობისა თანამედროვე საზოგადოებაში, ქრისტიანულ მორალის გატარება საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებაში; ზნეობრივი აღზრდა ახალთაობისა; დაარსება შესაფერ სპეციალურ სასწავლებლისა სამღვდელო პირთა მოსამზადებლად; დაარსება და გაძლიერება ისეთ დაწესებულებათა, რომელთა დანიშნულებას შეადგენს ღარიბ ჯალახთა, ობოლ-ქვრივთა და უპატრონოთა, დავრდომილ-დასახიჩრებულთა და შრომის უნარ მოკლებულ პირთა დახმარება; ისტორიულ არქეოლოგიურად შესანიშნავ მონასტერთა და შენობათა და ყოველნაირ მნიშვნელოვან ნივთთა მოვლა-პატრონობა და სხვა... ნუ თუ ამ ნაირ მიზნის დამსახველი საზოგადოება დიდ მნიშვნელოვანი არ არის, რომ პეტრე ანდერძს უგებს! ეს საზოგადოება სულ ნორჩია, ჯერ არც კი გაუცვნია ფართო საზოგადოებას და რამდენიმე ასი წევრი უკვე ჰყავს და, დარწმუნებული ვარ, დიდ ყურადღებას მიიპყრობს საზოგადოებისას. თუ ეკლესია გამოიყო რევოლიუციონურ სახელმწიფოდან ეს საზოგადოება აუცილებლად საჭირო იქნება ქართველი ერის სიმტკიცისათვის, თუ არ გამოიყო, მაშინაც საჭირო იქნება, როგორც ქრისტიანულ ძალის შემკრები.

ბ. პეტრე გაიძახის: „დღევანდელი მართლმადიდებელი ქართველ ღვთის მოძღვართა (ღვთის მოძღვარი არ არსებობს, უნდა ითქვას: მოძღვარი, ანუ ხალხის მოძღვარი. ღმერთს მოძღვარი არა ჰყავს!) უმრავლესობა ფარისეველი, ურწმუნო და თავისი საქმის ორგულიაო; მისი მოღვაწეობაა „ფეტიშ ხატების" მოხვევა პირჯვრის წერა და მუხლთ მოყრაო". ბ. პეტრეს გზა-კვალი არევია. აქ არც ფარისევლობა იხატება ქართველ სამღვდელოებათა და არც ორგულობა, პირიქით, ისინი ქრისტიანულ მღვდელ მოქმედების ჭეშმარიტი აღმასრულებელნი არიან პირჯვრის წერა, მუხლის მოყრა და მთხვევა ხატ ჯვარზე თვით კანონში უწერია და ყველა მართლ-მადიდებელ ეკლესიაში ასე იქცევა ღვთის მსახურნი.

თუ მართლმადიდებელ ღვთის მსახურთა წირვა-ლოცვა პეტრე მირიანაშვილის გემოვნებას არ ესიამოვნება, ნუღარ მიდის ეკლესიაში.

შემდეგს მოვლენას უფრო აურევია პეტრე. როგორც მოგეხსენებათ, ყოველთვის ნინოობას ნინოს ჯვარს გამოასვენებენ და დაასვენებენ შუა ტაძარში და ხალხი ემთხვევა, ასე გახლდათ ამ წელშიც. ალბად ბ მირიანაშვილს პირველად უნახავს ეს შემთხვევა და განგაშებს: „ვერ ხედავდნენ რომ მათ წინ მდებარე იშვიათი ისტორიული ნაშთი ვაზის ჯვარი ნინო წმინდისა მისივე თმით შეკრული ლოშნისაგან გაზინზლულ მატერიაში იყო გახვეული"-ო.

ვერ გაგვიგია, რა აწუხებს ბ. მირიანაშვილს! თუ ჯვარ-ხატი „ფეტიშია", როგორც თვითონ ეძახის, და ეკლესიაც მოსასპობია, როგორც მას სურს, სულ ერთი არ არის, რაშიაც იქნება გახვეული! თუ ჯვარ ხატი ისტორიული საუნჯეა და მნიშვნელოვანი, „ფეტიშს" რაღად უწოდებს! და მოსპობას რაღად უქადის!

საკვირველია, თუ როდის დაჰკარგა პეტრემ ასე რწმენა!

ვაი თუ სხვების ფეხის ხმას აჰყვა, თორემ 1917 წელს მუდამ სამღვდელოების კრებაზე დადიოდა და კათალიკოზის არჩევის წინად საკათალიკოზო საბჭოს წევრადაც კი აირჩიეს და ძლიერ კმაყოფილებას გრძნობდა, როგორც ეტყობოდა.

ბ. პეტრე მირიანაშვილს სრული უფლება აქვს თავისათვის მოსპობილად ჩასთვალოს სარწმუნოებაც, ეკლესიაც და ყოველი ქრისტიანული, მხოლოდ სხვის რწმენის შებღალვის უფლება მას არ აქვს.

თუ ვინმემ ძალით მოსპობა მოინდომა ქრისტიანულ-სარწმუნოების წეს-წყობილების და ეკლესიისა, იგი, მიუხედავათ იმისა, ვინ იქნება, მთავრობა, ინტელიგენცია თუ უბრალო მომაკვდავი, თვით მოისპობა ქართველ ერის მიერ, რომლისაც არსებობა ქრისტე ნობა შეადგენს. ქართველი ფანატიკოსი არყოფილა და არც არის მაგრამ მორწმუნე იყო, არის და იქნება და თავის რწმენას არავის წაბილწვინებს

გ. რმნაიშვილი.

# მსახიობი გ. იშხნელი

10 მარტს 40 დღე გახდა, რაც აღარა გვყავს ზეგარდმო ნიჭით ცხებული, ჩვენი სცენის დამამშვენებელი მსახიობი გიორგი არადელი-იშხნელი,

მეტად მახლობელია ჩვენთვის გიორგი, რომ იგი ... დღეს გვიხსენებათ ... მაგრამ ... მოლოდნელ დღის ... ჩვენ ... და მოკლედ მკითხველს მისი ბიოგრაფიას გაცნობთ.

გიორგი დაიბადა გორის მაზრის სოფელ არადეთში გიორგის დედ-მამას გიორგის დაბადებამდე შვილები არა რჩებოდათ: ორი ქალი და ორი ვაჟი აკლდათ.

მის დედ-მამას მეზობლებმა ურჩიეს გიორგი ნათლობისთვის მოენათლავებინათ. ასეც მოიქცნენ და მართლაც გიორგის მშობლებს გიორგი და მას შემდეგ სხვა სამი ვაჟი და ორი ქალი ყველა შერჩათ და შერჩათ სადღეგრძელოდ. ჩვენ ცრუ მორწმუნეობიდან ძალიან შორსა ვართ მაგრამ გიორგის ნათლიას უსუპას მეტად ბევრი ნათლულები ჰყავდა და ყველანი კარგათ იყვნენ...

6 წლის გიორგი თფილისში ჩამოიყვანა მისმა დეიდამ და, როგორც დავალებული ჰქონდა მას, დააყენა თავის ძალუსთან, იმ. ხნელის ქვრივთან. დედ-მამა არ გაჰყვა გიორგის თფილისში, რადგან ეშინოდათ ვაი თუ უკან გამოგვეტიროსო.

სხვათა შორის, 6 წლის გიორგის, როდესაც ჰკითხა თურმე დეიდამ თუ რომ ისწავლი, რა უნდა გამოხვიდეო, „გარადავოიო", უპასუხნა მას.

ერთი წლის შემდეგ პატარა გიორგი დედ-მამამ ვინმე რუს ხალინთან გაატანა გიმნაზიისთვის მოსამზადებლად. გიორგის ამ ხალინთან ისე კარგად შეესწავლა რუსული ენა, რომ ქართულს სწორე ვეღარ ლაპარაკობდა.

გიორგი მიაბარეს თფილისის მეორე გიმნაზიაში. მეორე კლასამდე საუკეთესო მოწაფედ სწავლობდა.

გიმნაზიაში, როდესაც კი იმართებოდა წარმოდგენები, ის მუდამ იღებდა მონაწილეობას, რაც ძალიან აზიდავდა მას და რის გამოც სწავლას მოუკლო და საშუალო მოწაფედ და მიდიოდა.

გიმნაზია დაამთავრა 1903 წელს და იმავე წელს შევიდა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1905 წლის მოძრაობის გამო მან წლები დაჰკარგა უნივერსიტეტში, სამაგიეროთ იგი შევიდა დოლინოვის დრამატიულ კურსებზე და ერთსა და იმავე დროს იგი უნივერსიტეტშიც იყო და დრამატიულ კურსებზეც.

1908 წლის შემოდგომაზე იგი ითვლებოდა იურიდიულ ფაკულტეტის მეოთხე კურსზე რომ დრამატიული კურსები დაამთავრა.

ამ დროს თფილისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოდან მოსდის წინადადება შევიდეს ქართულ სცენაზე და ემსახუროს მშობლიურ თეატრს. გიორგის მახლობლები ურჩევენ დაამთავროს იურიდიული ფაკულტეტი რადგან შემდეგ უფრო მეტი ფასი ექნება და მეტ ანგარიშსაც გაუწევენ სცენაზე. გიორგი ამაზე ეუბნება: სულ ერთია, სამი სხვა და სხვა ფაკულტეტიც რომ გავათავო მე თავს არ დავანებებ სცენას და საჭიროდ არ ვსთვლი ადვოკატურეთ იურისტის დიპლომით; თუ ნიჭი მექნება, ისედაც დამაფასებენ სცენაზე და თუ არა და დიპლომიც ვერას მიშველისო.

გიორგის უნდა წამოსვლა საქართველოსკენ რაკი ლევან ხიმშიაშვილის როლი კიდევაც მოუვიდა ოდესაში, მაგრამ მის ცოლს, რუსის ქალს რომელიც სულ ერთი წლის შერთული ჰყავდა, უნდოდა გიორგი რუსულ სცენაზე დარჩენილიყო, მით უმეტეს, რომ, როგორც კურსების დირექტორ დოლინოვისგან, იებ ნიუჟინისგან დიდი რეკომენდაცია ჰქონდა მას, მაგრამ გიორგიმ თავისი სამშობლოს ღარიბი სცენა არჩია და სთქვა: თავად-აზნაურთა დეპუტატებს ვიყავი, ქართულ სცენაზე მოვდივარო და ამიტომ უნდა დავბრუნდე სამშობლოშიო.

12 წლის განმავლობაში თუ რა როლებს თამაშობდა და როგორ ასრულებდა ის ეს ყველამ კარგათ იცის, ვინც ჩვენი თეატრით იყო დაინტერესებული.

ამიერიდან ვეღარ ვიხილავთ ჩვენს ძვირფასს და საყვარელს, უზომო კეთილს ადამიანს. იგი სულ ახალგაზრდა, 36 წლისა, მოვშორდა და ნუგეშათ თავისი ორი ვაჟი ირაკლი და გიორგი დაგვიტოვა. ბავშვები ჯერ სოფელში სწავლობენ. სხვათა შორის აღსანიშნავია რომ 12 წლის ირაკლი და 10 წლის გიორგი საბავშვო წარმოდგენებში საუკეთესო როლების შემსრულებლები არიან.

განსაკუთრებით პატარა გიორგი თავის მამა გიორგის ნამდვილი მემკვიდრე უნდა შეიქნეს მომავალში ქართულ თეატრისთვის, თუ შემდეგში ეს იმედები გაგვიმართლდა. ქართული თეატრიც, კვლავ აღორძინებული, უფრო სათუთათ მოუვლის თავის ქურუმებს ვიდრე დღეს...

ნელი.

# მომარაგების სამინისტროში

რკინის გზის სასურსათო კომიტეტმა შემდეგი წერილით მიმართა მომარაგების სამინისტროს:

—„რადგან ყველა სასურსათო კომიტეტისგან დათხოვნილმა არა საიმედო მოსამსახურეებმა თავი შეაფარა მომარაგების სამინისტროში, შეიქმნა ისეთი მდგომარეობა რომლის მიხედვით კარგი მოსამსახურენი ცუდათ მუშაობენ იმ იმედით, რომ თუ ისინი სამსახურიდან დათხოვნილი იქმნებიან, უკეთესს ალაგებს მიიღებენ მომარაგების სამინისტროში. ასეთ პირობებში მუშაობის გაგრძელება დიდათ აფერხებს ჩვენს მუშაობას საქართველოს რკინის გზებზე. გთხოვთ სათანადო განკარგულებას".

# წერილი რედაქციის მიმართ

„სახალხო საქმის" პარასკევის ნომერში დაბეჭდილია ვრცელი წერილი ბ-ნ დამსწრესი შესახებ „სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა წლიური საზოგადო კრებისა"; რადგან გაზეთი „კლდე" შაბათს იბეჭდება, მოკლებული ვარ საშუალებას შემდეგ ნომრამდის პასუხი გავცე ბ-ნ დამსწრეს და აღვადგინო მისგან დამახინჯებული სინამდვილე

სტუდენტი პროკოფი ნემსაძე.

# უკანასკნელი ცნობები.

**ინგლისი თანხმობას აცხადებს, რომ საქართველოს ჯარებმა დაიკავოს ბათომის ოლქი.**

---

**მოსკოვიდან მოვიდა ახალი ბოლშევიკური რადიო ტელეგრამა საქართველოს მთავრობის სახელზე.**

რედაქტორი გრ. ვეშაპელი.

# დამფუძნებელი კრების ფრაქცია

ნაციონალ. პარტიისა აცხადებს, რომ ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა მასალა მიიღება

**თფილისში** მთავარ კომიტეტში (გრ. ვეშაპელის ბინაზე. წყნეთის ქ. № 17 ტელეფ. № 22)

**სოხუმში:** აფხაზეთის საოლქო კომიტეტში (გრანდ-ოტელ. № 12) თავმჯდომარე, ვლადიმერ პახვ. ემუხვართან.

**ახალციხეში** სამაზრო კომიტეტში (კოტე გვარამაძესთან)

**ახალქალაქში:** სამაზრო კომიტეტში (საგენტი ნადირაძესთან)

**ქუთაისში** სამაზრო კომიტეტში (ორპირის ქ დავ. ლოლობერიძის სახლში).

**ზესტაფონში** სამაზრო კომიტეტში (ბესარიონ კელენჯერიძის სახლი)

საჩხერეში სარაიონო კომიტეტში გიორგი სვიმონისძე წერეთელთან და თამარა ქავთარაძესთან

# პასუხი და რჩევა მკითხველთ

„კლდის" რედაქცია აწვდის მკითხველთ განსაკუთრებით პროვინციის, სოფლის მცხოვრებთ, იურიდიულ რჩევას მიწისა და სოფლის მეურნეობის საკითხებში;

მისამართი: თფილისი, წყნეთის ქუჩა № 17.